სმარტ კონტრაქტის საქართველოში დანერგვასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტი

თეონა ახვლედიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გიორგი სვანაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თ. ახვლედიანი

თარიღი: 05.07.2021

აბსტრაქტი

შესავალი: ხელშეკრულების დადებისას მხარეები ყოველთვის დგანან ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის საფრთხის წინაშე. სმარტ კონტრაქტის თვითაღსრულებადი ბუნება იძლევა ამ რისკის მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობას, რის გამოც იგი წარმოადგენს სამართლებრივად მნიშვნელოვან ინსტიტუტს. სწორედ ამიტომ, კვლევის მიზანს გონიერი კონტრაქტის ბუნებისა და ქართულ სამართლებრივ სივრცეში მისი დანერგვის შესაძლებლობის შესწავლა წარმოადგენს. **მეთოდოლოგია:** აღწერილობითი, შედარებით-სამართლებრივი, შეფასებისა და ანალიტიკური მეთოდების საფუძველზე განმარტებულია საკითხთან დაკავშირებული ცნებები, შესწავლილია როგორც ქართული, ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობა. **შედეგები:** კვლევის შედეგად დადგინდა: საქართველოში სმარტ კონტრაქტების დასანერგად გარკვეული წინაპირობების არსებობა, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის, ბლოკჩეინისა და ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერის არსებობის სახით; სმარტ კონტრაქტის უნარი, შეამოწმოს მხარის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა და რიგ შემთხვევებში გამორიცხოს ხელშეკრულების დამოწმების აუცილებლობა და მის დასანერგად მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება. **დასკვნა/რეკომენდაციები:** საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სმარტ კონტრაქტიდან გამომდინარე რისკებისა და საფრთხეების პრევენციის მყარი მექანიზმები. ასევე, ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ზიანზე პასუხისმგებლობის გადანაწილებისას უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ნაშრომში დასახელებული პრინციპები, ხოლო დავის გადამწყვეტ ორგანოდ განისაზღვროს არბიტრაჟი.

საძიებო სიტყვები: სმარტ კონტრაქტი, გონიერი კონტრაქტი, ბლოკჩეინ-ტექნოლოგია, ელექტრონული ხელმოწერა.

ABSTRACT

Introduction: when parties execute an agreement they always face a risk of breach of obligations by one of the parties. The self-enforcement nature of smart contracts gives opportunity to lower this risk to minimum. That's why it represents an important legal tool. For the given reasons the purpose of this research is to study the nature of smart contracts and observe various possibilities as to how to implements it in Gorgian legal system. **Methodology used**: legal description and comparisons, analytical and valuation methods are used to define terms related the topic. In addition, Georgian as well as foreign legal systems have been considered. **Results**: the results of the research show that there is a certain basis in Georgia to implement smart contracts, as there exists the principle of freedom of contract, blockchain and electronic qualified signature are already implemented. Number of changes must be made in the legislation to allow the smart contract to check capacity of a signatory and in number of cases exclude the need to certify the agreements. **Conclusion, recommendations**: while amending the legislation a consideration should be given to steady mechanisms that will ensure risks and threats related to smart contracts. In addition, for sharing the responsibility for the damage arising from the agreement principles named in this work should be used and arbitration should be a relevant institute to solve the dispute.

Key words: Smart contracts, blockchain technology, electronic signature